

სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა¹

I. შესავალი

1. სამართლიანი დაკმაყოფილების მიკუთვნება არ გახლავთ ავტომატური შედეგი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა კონვენციის ან მისი ოქმებით დაცული უფლების დარღვევის დადგენისას. 41-ე მუხლის ფორმულირება ნათლად ასახავს, რომ სასამართლო სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი „აუცილებლობას წარმოადგენს“.

2. ამასთანავე, სასამართლო აღნიშნულ დაკმაყოფილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გასცემს, თუკი მას კონკრეტულ ვითარებაში „სამართლიანად“ მიიჩნევს. შედეგად, მნიშვნელოვანია ყოველი საქმის კონკრეტული გარემოებები. სასამართლომ შესაძლებელია დაადგინოს, რომ გარკვეულ ვითარებაში დარღვევის დადგენა უკვე თავისთავად წარმოადგენს საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას და აღარ მიიჩნის საჭიროდ ფინანსური კომპენსაციის გაცემას. სამართლიანობის მიზნებისთვის, სასამართლომ ასევე შეიძლება გადაწყვიტოს, რეალურად მიყენებულ ზიანზე ან გაწეულ ხარჯებზე ნაკლები თანხის მიკუთვნება ან საერთოდ უარი თქვას თანხის მიკუთვნებაზე. აღნიშნული შესაძლებელია მოხდეს, მაგალითად, გასაჩივრებულ შემთხვევაში, სადაც ზარალის ან ხარჯების ოდენობა მომჩივნის ბრალით არის გამოწვეული. ფინანსური დაკმაყოფილების დადგენისას, სასამართლომ ასევე შეიძლება გაითვალისწინოს მომჩივნის, როგორც დაზარალებული მხარის, და მაღალი ხელშემკვრელი მხარის, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების დამცველის, არგუმენტები. და ბოლოს, სასამართლო ზოგადად ითვალისწინებს ადგილობრივ ეკონომიკურ ვითარებასაც.

3. კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე დაკმაყოფილების მიკუთვნებისას, სასამართლო შესაძლებელია დაეყრდნოს ეროვნულ სტანდარტებს. თუმცა, ის არასდროს არ იზღუდება მხოლოდ მსგავსი სტანდარტებით.

4. მომჩივნები გაფრთხილებულნი არიან, რომ კონვენციიდან გამომდინარე ფორმალური და შინაარსობრივი მოთხოვნებისა და სასამართლო რეგლამენტის დაცვა წარმოადგენს სამართლიანი დაკმაყოფილების პირობას.

II. სამართლიანი დაკმაყოფილების საჩივრების წარდგენა: ფორმალური მოთხოვნები

5. სასამართლოს რეგლამენტის მე-60 მუხლი აყალიბებს სამართლიანი მოთხოვნის წარდგენის ვადებსა და ფორმალურ მოთხოვნებს, რომლის შესაბამისი ნაწილები მოითხოვს შემდეგს:

¹ პრაქტიკული ინსტრუქცია გაცემულია სასამართლოს პრეზიდენტის მიერ, სასამართლო რეგლამენტის 32-ე მუხლის მიხედვით, 2007 წლის 28 მარტს.

„1. მომჩივანმა, რომელსაც სურს კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე სამართლიანი დაკმაყოფილების მიღება სასამართლოს მიერ კონვენციით განსაზღვრული უფლების მის მიმართდარღვევის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მოთხოვნა.

2. გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც პალატის პრეზიდენტი სხვაგვარად გადაწყვეტს, მომჩივანმა მოთხოვნათა ჩამონათვალი და მასზე თანდართული შესაბამისი საბუთები მის მიერ საქმის არსებით მხარეზე მოსაზრების წარსადგენად დადგენილ ვადაში უნდა წარმოადგინოს.

3. თუკი მომჩივანი ვერ დააკმაყოფილებს ზემორე პარაგრაფში დადგენილ მოთხოვნებს, პალატა უფლებამოსილია მისი სასარჩელო მოთხოვნები სრულად ან ნაწილობრივ უარყოს.

...“

მაშასადამე, სასამართლო საჭიროებს კონკრეტული მოთხოვნების გამყარებას შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებებით, რომელთა არ წარდგენის შემთხვევაში, თანხის მიკუთვნებაც არ მოხდება. სასამართლო ასევე უარს განაცხადებს იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რომლებიც უკვე მოყვანილი იყო საჩივრის ფორმაში, მაგრამ არ იქნა ხელახლა წარდგენილი სამართალწარმოების შესაბამის ეტაპზე. არ დაკმაყოფილება დაგვიანებით წარდგენილი მოთხოვნებიც.

III. სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ მოთხოვნის წარდგენა: არსობრივი მოთხოვნები

6. სამართლიანი დაკმაყოფილება შეიძლება გაიცეს კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით შემდეგ მოთხოვნებზე:

- ა) მატერიალური ზიანი
- ბ) მორალური ზიანი და
- გ) ხარჯები

1. ზოგადად ზიანის შესახებ

7. აუცილებელია აშკარა მიზეზობრივი კავშირის დადგენა მოთხოვნილ ზიანსა და სავარაუდო დარღვევას შორის. სასამართლო ვერ დაკმაყოფილდება უმნიშვნელო კავშირით სავარაუდო დარღვევასა და ზიანს შორის და ვერც ვარაუდებს დაეყრდნობა იმის შესახებ, თუ რას შეიძლება ჰქონოდა ადგილი.

8. ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია მიკუთვნებულ იქნას იმდენად, რამდენადაც ზიანი გამომდინარეობს დადგენილი დარღვევიდან. ანაზღაურება ვერ გაიცემა იმ ზიანისთვის, რომელიც გამოწვეული იქნა იმ მოვლენებისა თუ ვითარების შედეგად, რომელიც არ იქნა მიჩნეული კონვენციის დარღვევად ან იმ ზიანისათვის, რომელიც ეხება საქმის წარმოების საწყის ეტაპზე მიუღებლად ცნობილ საჩივრებს.

9. სასამართლოს მიერ ზიანისთვის დადგენილი ანაზღაურების მიზანია დარღვევის საფუძველზე მომჩივანისთვის რეალურად მიყენებული ზიანის კომპენსირება. იგი მიზნად არ ისახავს პასუხისმგებელი ხელშემკვრელი მხარის დასჯას. შესაბამისად, აქამდე, სასამართლო მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა „სადამსჯელო“, „დამამძიმებელი“ ან „თითოთ საჩვენებელი“ იარლიყის მქონე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების მიღებას.

2. მატერიალური ზიანი

10. მატერიალურ ზიანთან დაკავშირებული პრინციპი გახლავთ, შესაძლებლობის ფარგლებში, მომჩივნის იმ ვითარებაში დაბრუნება, რომელშიც იგი იქნებოდა რომ არ მომხდარიყო დარღვევა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, *restitutio in integrum*. აღნიშნული

შესაძლებელია მოიცავდეს როგორც რეალურად ასევე ზიანს (*damnum emergens*), ისევე სამომავლო ზიანს ან შემცირებულ შემოსავალს (*lucrum cessans*).

11. მომჩივნის მოვალეობაში შედის იმის დამტკიცება, რომ ზიანი გამომდინარეობს სავარაუდო დარღვევის ან დარღვევებიდან. მომჩივანმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რათა დაამტკიცოს, შესაძლებლობის ფარგლებში, ზიანის არა მარტო არსებობა, არამედ მისი რაოდენობა და ღირებულება.

12. ზოგადად, სასამართლოს მიერ მიკუთვნებული ანაზღაურება გამოითვლება ზიანის რაოდენობის მიხედვით. თუმცა, თუკი შეუძლებელია რეალური ზიანის ზუსტი გამოანგარიშება, სასამართლო გამოანგარიშებას განახორციელებს მის ხელთ არსებული ფაქტების საფუძველზე. როგორც აღინიშნა კიდევ, ზემოთ მე-2 პარაგრაფში, შესაძლებელია, თანასწორობის საფუძველზე, სასამართლომ საჭიროდ მიიჩნიოს ზიანის ნახევარზე ნაკლების მიკუთვნება.

3. მორალური ზიანი

13. სასამართლოს მიერ მორალური ზიანის ანაზღაურება მიზნად ისახავს ფინანსური კომპენსაციის დადგენას არამატერიალური ზიანისათვის, მაგალითად მორალუტი ან ფიზიკური ტანჯვისათვის.

14. მორალური ზიანის ბუნების მიხედვით, რთულია მისი ზუსტი ოდენობის განსაზღვრა. ამგვარი ზიანის არსებობის დადგენის შემთხვევაში, და თუ სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ფულადი ანაზღაურების მიკუთვნებას, იგი მას შეაფასებს თანასწორ საფუძველზე, გაითვალისწინებს რა იმ სტანდარტებს, რომლის საფუძველზეც წარმოიშვა მისი სასამართლო პრაქტიკა.

15. მომჩივნებმა რომელთაც სურთ მორალური ზიანისათვის კომპენსაციის მიღება, ანაზღაურების ისეთი თანხა უნდა დაასახელონ რომელსაც სამართლიანად ჩათვლიან. მომჩივნები, რომლებიც თავს ერთზე მეტი დარღვევის მსხვერპლად მიიჩნევენ, უფლებამოსილი არიან ან წარმოადგინონ ერთიანი თანხის მოთხოვნა, რომელიც ყველა ნაგულეებ დადგევას მოიცავს, ან ყოველი დარღვევისთვის ცალ-ცალკე მოითხოვონ თანხები.

4. ხარჯები

16. სასამართლომ შესაძლოა დაადგინოს მომჩივნისათვის იმ სასამართლო ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მან გასწია - პირველ რიგში ეროვნულ დონეზე, ხოლო შემდეგ კი, სასამართლოს წინაშე - დარღვევის თავიდან ასაცილებლად ან მის შედეგებთან გასამკლავებლად. ამდაგვარი ხარჯები, როგორც წესი მოიცავს იურიდიულ დახმარებას სასამართლო რეგისტრაციის ხარჯებსა და მსგავსს. ასევე, შესაძლებელია მოიცავდეს მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯებს, რომელიც მომჩივნის მიერ გაწეულ იქნა სასამართლო მოსმენაზე დასასწრებად.

17. სასამართლო მხოლოდ იმ დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნას დააკმაყოფილებს, რომლებიც მის მიერ დადგენილ დარღვევებს უკავშირდება. შესაბამისად, არ დააკმაყოფილდება ანაზღაურების მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება იმ სასარჩელო მოთხოვნებს, რომელთა დარღვევაც სასამართლოს არ დაუდგენია ან რომლებიც მან მიუღებლად ცნო. აღნიშნულის გათვალისწინებით, უმჯობესია მომჩივნებმა ანაზღაურების მოთხოვნები ყოველ კონკრეტულ სასარჩელო მოთხოვნას დაუკავშირონ.

18. აუცილებელია, რომ სასამართლო ხარჯები რეალურად იყოს გაწეული. ანუ, მომჩივანს ეს თანხები გადახდილი უნდა ჰქონდეს, ან ვალდებული უნდა იყოს გადაიხადოს, იურიდიული თუ სახელშეკრულებო ვალდებულების საფუძველზე. ნებისმიერი თანხა,

რომელიც გადახდილი იყო ან გადასახდელია ეროვნული ხელისუფლებისა თუ ევროპის საბჭოსთვის, გამოქვითული იქნება იურიდიული დახმარების სახით.

19. გაწეული ხარჯები უნდა იყოს აუცილებელი. ანუ, მისი გაწევა, დარღვევის თავიდან ასაცილებლად ან მის გამოსასწორებლად აუცილებელი უნდა გახლდეთ.

20. თანხა უნდა იყოს გონივრული ოდენობის. თუკი სასამართლო მას გადამეტებულად მიიჩნევს, იგი მოახდენს იმ თანხის მიკუთვნებას, რომელიც მისი გამოთვლებით გონივრულია.

21. სასამართლო საჭიროებს მტკიცებულებას ქვითრებისა და ზედნადებების სახით. ეს უკანასკნელი უნდა იყოს საკმარისად დეტალური, რათა სასამართლომ შეძლოს იმის განსაზღვრა, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული ზემორე მოთხოვნები.

5. ინფორმაცია გადახდის შესახებ

22. მომჩივნებმა უნდა მიუთითონ საბანკო ანგარიში, სადაც სურთ მიკუთვნებული თანხის მიღება. სურვილისა და სათანადოდ აღნიშვნის შემთხვევაში, შესაძლებელია სასამართლო ხარჯების ცალკე გადახდა, მაგალითად, პირდაპირ წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

IV. სასამართლოს მიერ მიკუთვნებული ანაზღაურების ფორმა

23. სასამართლოს მიერ მიკუთვნებული ანაზღაურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება ფულის გადახდის ფორმით, მოპასუხე მთავრობის მიერ დადგენილი დარღვევის მსხვერპლის ან მსხვერპლების მიმართ. მხოლოდ უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში შეუძლია სასამართლოს განიხილოს დარღვევის შეწყვეტის ან გამოსწორების დამაკისრებელი ბრძანების გამოცემა. სასამართლოს შეუძლია საკუთარი დისკრეციის საფუძველზე, წარმოადგინოს მითითებები მისივე გადაწყვეტილების აღსრულების დროს (კონვენციის 14-ე მუხლი).

24. კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე დადგენილი ნებისმიერი ფინანსური ანაზღაურება განისაზღვრება ევროში, მიუხედავად იმისა, თუ რა ვალუტაში წარმოადგინა მოთხოვნები მომჩივანმა. თუკი მომჩივანმა ანაზღაურება ევროსაგან განსხვავებულ სხვა რაიმე ვალუტაში უნდა მიიღოს, სასამართლო დაადგენს, მისაღები თანხის კონვერტირების საჭიროებას ამ სხვა ვალუტაში, ანაზღაურების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. მოთხოვნების წარდგენისას, მომჩივანს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული, თუ რა ეფექტს იქონიებს მის მიერ მისაღებ თანხებზე, ზემორე პრაქტიკის შესაბამისად მათი კონვერტირება ევროდან ეროვნულ ვალუტაში ან პირიქით.

25. სასამართლო თავად ადგენს ვადას, რომელშიც გადახდა უნდა მოხდეს. ჩვეულებრივ, ეს სამი თვეა, იმ დღიდან, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო გახდა. ამ ვადის გადაცილების შემთხვევაში, სასამართლო აწესებს საურავს. აღნიშნული საურავის განაკვეთი არის მარტივი განაკვეთი, რომელიც იანგარიშება როგორც ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ შესაბამის პერიოდში დადგენილი სესხის ზღვრული განაკვეთი, გაზრდილი სამი საპროცენტო პუნქტით.